

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типо-литъ. Въ редакцію газ. „Др о з а“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# ფრომაკი

ყოველ დღე ორზაბათს გარდა

ფასი განცხადებისა. დღისათვის ერთ ასოზე—1 კუპონი. წინასწარ შეკვეთით სტრიქონზე—8 კუპონი. ჩვეულებრივად ყველგან—5 კუპონი. საბარათი—4 კუპონი.

რედაქციას უფლება აქვს გაასწავროს და შეამოკლოს დასაბედად გამოცხადებული სტრიქონი. დასაბედად სტრიქონი ავტომატურად აღიარებულია.



შველიანის გამოსაშვები მმ 32 ნომერი „დროებას“ გამოვა ორზაბათს, 13 თებერვალს.

ამ 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типо-литъ ВЪ редакцію газетъ „Др о з а“.

გაზეთის ფასი

- მთელის წლისა — — 8 მან.
- მქვის თვისა — — 5 მან.
- სამის თვისა — — 3 „
- ერთის თვისა — — 1 „

პირველი თებერვლიდან წლის დამთავრებამდე 7 მან.

შული გაზეთის დაბარებისათვის უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 6 თებერვალს. საზოგადოებათა პალატის სხდომასზე ბორკმა სიტყვა

## შეარლოვა

ნომერი, № 1, იანვარი 1879.

ეს პირველი წიგნი ქურნალ „იერიისა“ ერთობ ღირსია ლიტერატურულ ნაწილითა. მრი დაბეჭდილი მოთხრობა ორივე ნათარგმნი არიან, ზ. მოენიძის ლექსი—ისიც ნათარგმნი და ორიოდ პატარა ხეცურული ლექსები—ყველა ეს არაფრით არ არის შესანიშნავი და ბევრს არაა უმატებს ჩვენს მწერლობას; დარჩა მხოლოდ ილია შავჭავჭავაძის პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და მეც პირ-და-პირ ამ თხზულების გარჩევას შეუდგები.

ბრმა-მეფანტურე გვიამბობს მეფე დიმიტრის თავგანწირვას, რომელმაც თავის დაღუპვა ირჩია საქართველოს გახსნისათვის. როცა ყვინძა გაუგზავნა მეფეს მო-

ვა: „მე არ მიმიღია ჯერ პირი იმ საბოლოო მორიგებისა რომელიც რუსეთმა და ოსმალეთმა შეჰკრეს ერთმანეთში; არ ვიცი, ლორდ ბიკონსფილდმა მიიღო თუ არა. ანტონიუციის (სამხედრო ხარჯის) შესახებ მე შემიძლიან მხოლოდ თ. შორჩაკოვის სიტყვები მოვიყვანო, რომ ოსმალეთს იმდენ გადასახადს არ დაეღებთ, რომ ამით სხვა იმის მიღება იზარალონ.“

კეტიკაშვილი, 7 თებერვალს. „მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია გრაფ ლორის-მელიკოვის ტელეგრამა სარაციინიდან, რომელიც გაცნობებს, რომ იმ ადგილებში, სადა პირველად ქამი აღმოჩნდა ახლა სრულიად აღარ არიან ავთომყოფები და არც არაფერი მომკვდარაო.

გაზეთს „ახალ დროებაში“ დაბეჭდილია შემდეგი დეგეზა 6 თებერვალს მიღებული ფილიპოპოლიდან:

ბოლგარიაში შეადგინეს და რუსის ღენ. სტოლიპინს მისცეს აღრესი, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ იმათ მტკიცე გარდაწყვეტილება დასდევს, არ შემოუშვან ბოლგარიაში ოსმალთა და ამ განზრახვით მზათ არიან, ხელ-ახლად თოფ-იარაღს მოჰკიდონ ხელი.

ვენა, 6 თებერვალს. აესტრიის რეისხრატის დეპუტატთა პალატაში გამოაცხადა შტროსმაიერმა, რომ ახალი საინისტრო შესდგაო.

ციკლო: „გამოცხადდი ჩემ წინ შენო, თუ არ მოხვალ შენს ქვეყანას ნაცარტუტას ავადნო“, დიმიტრიმ შეჰყარა მღვდელთ-მთავართა და დიდებულთა ყრილობა და ჰკითხავს, — რას მირჩევთ? დიდებულნი ურჩევენ ბრძოლას და მღვდელთ-მთავარი თავის შეწირვას. მეფემ გადაწყვიტა თვითონ მომკვდარიყო და საქართველო დაეხსნა, და თუმცა ხალხს არ უნდა თავის ბატონის გაცემა, დიმიტრი მაინც წავა ყვინთან და იქ მოჰკვთენ თავსა.

შენაშრი გმირია ეს დიმიტრი თავდადებული: მის გონებაში მხოლოდ ერთი აზრია—მამულის დახსნა და გულში ერთი გრძობა-სიკოცხლის სიყვარული. მეფეს ყვინის ბძანება რომ მოუვიდა, თვითონ არ შეუძლიან რაიმე გადაწყვიტოს, უნდა სხვასა ჰკითხოს რას მირჩევენო. მითქვას გმირისთვის აქ არჩევანი ან ფიქრი შეიძლებოდა კიდევ?

კეტიკაშვილის ბიჩა, 7 თებერვალს. (ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	96 — „
მეორე — — — — —	95 — 25
მესამე — — — — —	94 — 50
მეოთხე — — — — —	95 — „
ალმოსავლეთის პირ. —	92 — 50
ალმოსავლეთის მეორე —	92 — 25
მქრო, 1/2 იმპერიალი —	8 — 53
თფილ. თავდა-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი —	„ — „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	მან. კაპ.
პირველი სესხის — —	233 — 75
მეორე სესხის — —	224 — 75
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი — —	23 — „ პენსი
ამსტერდამი — —	116 — 25 ცენტი
ბერლინი — —	195 — 25 ჰფენიგი
პარიჟი — —	242 — „ სანტიმი
მაეკასიის კერასინი —	„ — „

## საქართველო

პირველი მართული შოკლა

ჩვენი განათლებული ახალგაზდობის განკიცხვა და გინება მოდათ შემოვიდა ჩვენში. შევლა და ყველგან ამ ახალგაზდობას ჰკიცხავს; ყველა უბედურებას იმას აბრალებენ. ჩვენი უმეცრება, სიღარიბე, ზნეობითი სისუსტე, სიზარმაცე,

მთ მამული უყვარს და ბრძოლის ილაჯი არ არის—ცხადია რომ თავი უნდა შესწიროს, და დიდებულთა და მღვდელთ-მთავართა თუ მოხმობს ამ შემთხვევაში, მხოლოდ თავის ნების გამოაცხადებლათ. მეფე თითქმის სხვის გადაწყვეტილებას ემორჩილება და არა თავის გულის წადილს. ასე რომ დიმიტრი გმირი არ არის, ეს მამულის მსხვერპლია, თავის ქვეყნის მიწამე. მრთს აზრს დაუპყრია მისი გონება—საქართველოს სიკეთე და მეფე ვერ მიმხვდარა, რომ ის მაინც მამულს ვერას უშველის თავის შეწირვით, რადგანაც მეფის დაღუპვა და სამეფოსისა—ერთია; ხალხი თავის ბატონის გამცემი, თავის უძღურებას აჩენს და მას იგივე მოელის რაც ბატონს გადახდა. შეცოდების ღირსია ეს უბედური მეფე და არა თავყვანისცემისა: მისი საქციელი უფრო გულ-შემამტკივარ ხუცესის საქციელსა ჰგავს, ვინემც მამულის შევილისას და გმირისას.



ცრუმორწმუნოება, ერთის სიტყვით ყველა ნაკლულეფანება. რაც ჩვენს მალალ და მდაბიო ხალხსა აქვს, ყველა ესრედ-წოდებულის განათლებულ ახალგაზდობის ბრალი არისო!

არასოდეს არ ეყოფილვართ ჩვენ ჩვენი ახალგაზდობის მოსარჩლე; სხვებზე უფრო ხშირად ჩვენგაგვიკიცხავს ამ ახალგაზდობის გულ-გრილობა საზოგადო საქმეებისადმი, იმათგან სდევნა კერძო თავ-მოყვარეობისა და სარგებლობისა, დაეწყება მამულის-შვილობისა და სხვ. და სხვ. მართალია, მომეტებული ნაწილი ამ ახალგაზდობისა არ გამოდგა ისეთი, როგორც ქვეყანა მოელოდა, როგორც უნდა გამოსულიყენენ.

მაგრამ ნუ დაევიწყებთ, რომ თავის გასამართლებელი გარემოება აქვს ამ ჩვენ ახალგაზდობას. რას ეტყვის ჩვენი საზოგადოება იმას პასუხად, რომ მოუბრუნდეს და ჰკითხოს:

—რა მოგიცია, რასა მთხოვო?  
მართლა, რა მიუცია თავის მომავალ შვილებსათვის ჩვენს საზოგადოებას? (მე ვამბობ აქ თავდაზნაურობაზედ, რადგან გლახებიდგან ჩვენს ქვეყანაში თითქმის სრულიად არ მოიპოვება განათლებული ახალგაზდები.)

როგორი აღზრდა, როგორი განათლება მიგეცია ჩვენი შვილებსათვის? და სწავლის შესრულების შემდეგ რა ცხოვრების მორეგში ჩაგვიყენებია, როგორი საზოგადოებით ყოფილა გარ-შემორტყმული? მინ ამხნევებდა, რა მაგალითები მიუძღოდა იმას წინ, როდესაც პირველად შესდგა ცხოვრებაში ფეხი?

ამ კითხვების პასუხს უჩემოთაც ყველა აღვიღლად იტყვი.

უჩემოთაც ყველამ კარგათ იცის, რომ თავიდამვე ჩვენი ახალგაზდობის აღზრდა და განათლების საქმე უკუღმართად მიდის, ისე მიდის, თითქო ყველას განგებ უნდარ, რომ ნორჩს ყმაწვილში თავიდამვე მოკლან და გააქარონ. ყოველივე კეთილ-შობილური გრძნობა, სამშობლოს სიყვარული, საზოგადო სარგებლობისათვის კერძო ინტერესების

დაეწყება, გმირობა დამოუკიდებლობის სიყვარული, თავის ხალხის თავის ენისა და ლი-ერატურის თანაგრძნობა და სხვ.

უჩემოთაც ყველამ კარგათ იცის, რომ მომეტებული ნაწილი ჩვენი ახალგაზდობისა, გიმნაზიაში კურსის შესრულების შემდეგ, თითქმის დედამის უნებურად წასულან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის შესასრულებლად; ყველამ იცის—თუ რა გაჭირებას და ვაი-ვაგლახს ივლიან იქ ლუკმა პურის უქონლობისაგან, ისეთი ყმაწვილები, რომელთა მშობლებსაც ქალღმერთი წასაგებად და სხვა ამგვარ ხარჯისათვის თვეში ათი და ოცი თუმანი არასოდეს არ გამოე-ლევათ.

უჩემოთაც ყველამ იცის—თუ უმაღლესი სწავლის შესრულების შემდეგ, როცა თავის ქვეყანაში ბრუნდება ჩვენი ახალგაზდა, რა მოწინავე საზოგადოება ხდება იმას აქ, როგორ, უყურებს იმას ეს საზოგადოება, რას მოსთხოვენ ხოლმე იმას, როგორ ჩასჩურჩულებენ ყოველის მხრიდამ: „ბამიღირდი! ბამიღირდი! რათაც უნდა დაგაჯდეს, გამიღირდი!“ და სხვ.

და ვინ არ იტყვის, რომ ყველა ეს გარემოება „შესაწყნარებელი გარემოება“ ჩვენი ახალგაზდობისათვის. როდესაც მთელი საზოგადოება ამისთანაა, როდესაც ნორჩს ყმაწვილს თავიდამვე ამისთანა აღზრდასა და სწავლას აძლევენ და სწავლის შემდეგაც ამისთანა ხალხი ახვევია გარშემო, რა გასამტყუენებელია, მართალი რომ ვსთქვათ, ის ახალგაზდა, რომელიც ერთ-ორ გაკვრით შეთვისებულ პრინციპს დაივიწყება და დადგება იმავე გზას, რა გზასაც ყველა „სხვები“ აღგზანან?

შიშვორებ, მე სრულიად არ ვამართლებ ჩვენს ახალგაზდობას; რასაკვირველია, იმას მომეტებულის გაკეთება შეეძლო ჩვენს ქვეყანაში, ვინემც გააკეთა; იმას შეეძლო უფრო მომეტებული კვალი დაემჩნია ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში, ვინემც დაამჩნია; მე არ ვამართლებ იმას; ვამბობ მხოლოდ, რომ სა-

ზოგადოებას, რომელსაც იმისთვის არა მიუნიჭებია—რა, არცაა ჩვენს მანქანას მანქანა უფლება, რომ ბევრი რამ მოსთხოვოს..

ამ საგანზე ლაპარაკი ჩვენ ახალი ქართული შკოლის გახსნის გამოი-სობით დაეწყეთ, რადგან დიდი კავში-რია ამ ორ საგანს შუა.

აღრე ჩვენი შვილების სწავლა და აღზრდა უთაურად, უხეიროდ მიდიდა. ახლა იმედი გვაქვს, რომ რამდენიმე ათი ყმაწვილი მანქანა, შემოსწავლილი შკოლის წყალობით, სწორეთ ისეთს პირველ-დაწყებით სწავლას მიიღებს, როგორსაც ნამდვილი პედაგოგია მოი-თხოვს.

შველსავე პირველად ის მანქანა იქნება, რომ ქართველი ყმაწვილები თავის გასაგება ენაზე დაიწყებენ სწავლას; სხვა არა იყოს—რა, ეცოდინებათ მანქანა—თუ რას ეუბნება იმათ მასწავლებელი, რა-ზედ ელაპარაკება და რა საგანს უხსნის. მეც დიდი ბედნიერებაა.

მეორე ეს, რომ ამ შკოლის ყმაწვი-ლებს ყველაფერი, რაც კი საჭიროა სწავლისათვის, მზად და უნაკლულად ექნებათ; ექნებათ სადგომი, საქმელ-სას-მელი, წიგნები და სხვ. და თუ მოი-გონებთ—თუ რამდენი ნიჭიერი ყმაწვი-ლი ფუჭდება და აკლდება სწავლას ამ აუცილებელ საგნების უქონლობისაგან, დამეთანხმებით, რომ ესეც დიდი ბედ-ნიერებაა.

მაგრამ ყველაზე უფრო ჩვენ იმიტომ გვიხარია ამ შკოლის გახსნა, რომ იმე-დი გვაქვს, იმაში ისაღვურებს ნამდვილი ქართული სული, ქართული ხასიათი; იქ არ დაივიწყდებათ ყმაწვილებს, რომ ისინი საქართველოს შვილი არიან, რომ ისინი შემდეგში თავის ქვეყანას უნდა ემსახურონ, რომ საქართველოს ხალხისათვის იზრდებიან ისინი, რა კე-თილ ნაყოფს მოიტანს ამ გვარი ხასია-თის შკოლა—ეს ცხადია.

ამბობენ, შკოლის დამაარსებლებთ იმედი აქეთო, რომ ეს შკოლა თან-და-თან გაზარდონ, გააღიდონ, თან-და-თან

მართი უცნაურობაც მაკვირებს ამ მეფისა: ღიმიტრი თუმცა კეთილი და ლბილი გულია კაცია,—არავინ არუყვარს. ის არავის არ ესალმება წასვლის დროს, არც დედა აგონდება, არც ცოლ-შვილი. ნუ თუ ამ ჩჩვილი გულის კაცს არც საყვარელი ჰყავს და არც მეგობარი? მა მამულისთვის თავ-დადებული კაცი ისე მიდის, რომ შეიღობასაც არ ეუბნება თავისს საყვარელს საქართველოს, არ შეხედავს სამშობლო ცა და მიწას, არ მოაგონდება ბედნიერი დღენი, რომელ-ნიც აქ ღალია...

უცნაური კაცია ეს მეფე ღიმიტრი, უცნაური! როგორ ითავსებიან მის გულ-ში ამდენი გაუგებარი ურთიერთის წი-ნალმდეგი გრძნობანი?

იცით, მკითხველო, რისგან წარმოს-დგება ეს უცნაურობა? მეფე ღიმიტრი დიხსაც გმირი და დიდი კაცი გამოვი-დოდა, თუ თვითონ პოეტს ილია შავ-

ქავაძეს ეამბნა მეფის თავ-დადება, მაშინ შეეძლო გამოეთქვა და აეხსნა ყველა რაც ღიმიტრის გულში უცნობი და მი-უხვდომელია, მაშინ მეფის საქციელი ცხადი და გასაგები იქნებოდა ჩვენთვის, რადგანაც პოეტი თვით გმირის გულთ-მისანი. მაგრამ რაკი პოეტი ბრმა-მეფან-ტურეს უთმობს სიტყვას, იძულებულია თავის გმირიც დაამდაბლოს. მეფანტუ-რეს, დაბალ ხალხის კაცს არ ძალუძს ღიმიტრის გულისთანა გმირული გული იცნოს, ეს მეფე უბრალო კაცისთვის მეტათ მიუწოდებელი და ძალით ტანი-საა, მისი გულის ჩჩვილობა და მამაცო-ბა ვერა თავსდება მეფანტურეს გონება-ში და ამიტომაც იმას ნამშობდით ღი-მიტრი გმირად კი არ მოჩანს, არამედ მხდალ და გაუბედავ კაცად.

ამაში მდგომარეობს პოეტის ნაკლუ-ლეფანება და ხდება მისი მშვენიერება. რაც შეეხება ლექსთა-წყობას, ილ.

შავქავაძე ამ საქმეში განვითარებული და გამოცდილი მოღვაწეა,—მისი ლექ-სი დაემსგავსება რიგზე წყობილს და გაწვრთნილს ჯარსა. პოეტურ სურათე-ბითაც მდიდარია ეს პოემა; აი ერთი მაგალითი მრავალთაგანი:

„მეფის ახლდა მხარ-მარჯვნივა  
მუღ-მწუნა რე მღვდელ-მთავარი  
და მხარ-მარცხნივ შუბლ-შეკრული  
ჯავრით-სახე სახალარი  
მღვდელ-მთავარი მსწუხს და ვაგბს  
მეფის თავ-გადადებასა,  
სახალარი კი პათკოლობს  
„შომრად დამარცხებასა.“

მგონია, რუსთაველიც არ დაიწყებენ-და ამ ლექსსა და ყველა პოეტი დიდის სიხარულით დაიჩემებდა.

—გოდოგე კლოგეობას ამ იმობი იგა...  
—ონ მტენ (შემდეგი იქნება)



უმატონ იმას კლასები ასე, რომ რამდენიმე წლის შემდეგ გიმნაზიათ გარდაკეთონ. თუ ეს იმედი შესრულდა, რაღა თქმა უნდა ქარაველი საზოგადოება ძლიერ და ძლიერ მოხარული უნდა იქნეს.

ეს ყველა შკოლა ისეთი კაცების ხელშია, რომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, კარგ გზაზე დაადგება ის და თავის საწადელს კიდევ შეასრულებს. მაგრამ ამისთვის საზოგადოების თანაგრძნობაც არის საჭირო.

მა თანაგრძნობაც არ მოაკლდება იმას. არ მოაკლდება იმიტომ, რომ ეს არის პირველი ქართული შკოლა და სხვა არა იყოს-რა, ჩვენი თემოყვარეობა მოითხოვს იმის კეთილწარმატებას..

ს. მ.

დღიური

\* \* \* მთხის მღვსის გაზეთში დაბეჭდილია, რომ იქაურ მაღაქის რჩევას გადაუწყვეტია დანიშნოს სანიტარული კომისია, რომელმაც უნდა გაასუფთავოს ეს ქალაქი და საზოგადოთ ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ ყამი არ გავრცელდეს და არ გაძლიერდეს მღვსაში. რჩევას გარდაუწყვეტია ამასთანავე, რომ მთელი ქალაქისათვის დანიშნოს 15 სანიტარული კომისარი ქალაქის თითოეულ მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებისათვის.

ეს კომისია შეუერთდება იმ კომისიას, რომელიც ამავე მიზნით არის დანიშნული მღვსის გრადონაჩილნიკისაგან და ორივე ერთმანეთში გაინაწილებენ საქმესა.

ურიგო არ იქნება, რომ ჩვენმა სანიტარულმა კომისიამ, რომელიც გასულ სხდომაზე ამოირჩია მაღაქის რჩევამ, ამ შემთხვევაში მაინც იხელმძღვანელოს მღვსის კომისიის წესდებითა და ამნაირადვე იმოქმედოს.

\* \* \* ამბობენ, რომ ნატალია შიოყვისას, რომელიც ამ დღეებში მიიცივალა და გუშინ ერთის ამბით გასცენეს ჩვენს ქალაქში, რაც იათას თუმამდინ უანდერძნია მთილისის ღარიბ სომხების შეიღების გასაზრდელად.

\* \* \* ჩვენ შევიტყუეთ, რომ გუშინ, 8 თებერვალს, დილის მეშვიდე საათზე ერთი ვიღაც კარგათ ჩაცმული კაცი გადავარდნილა ძუკვის ხიდდამ და დამღრჩვალა. ჯერ არც დამღრჩვალთ უპოვნიათ და არც იციან—თუ რა მიზეზმა აიძულა ის ასე თავის გაწირვას.

\* \* \* ბუშინვე ათს საათზე დასაფლავებს სომხების სასაფლაოზე ნიჭიერი აქტიორი და მწერალი პერიკიანი. იმის გასვენებაზე დაესწრო ბევრი ახალგაზდა განათლებული სომეხი და ქართველი, რომელთაც ამნაირად პატივი სცეს იმის ნიჭსა და პატიოსან ცხოვრებას. მართმა ახალგაზდა სომეხმა ეკლესიაში წესის აგების შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოხატა იმის ცხოვრება და შეაქო იმის ღვაწლი სომხური ლიტერატურისა და სცენისათვის.

\* \* \* ზემო-იპერეთდამ გვეწერენ, რომ ამ უკანასკნელ დროს საშინლად გავრცელდა შვირილის უეზღში ხურვება, სნება, ყელი-ტვიელი, ყვაელი და შითელი; ბავშვები განსაკუთრებით ბევრი იხოცებანო. ღღ არ წავა ასეო, რომ მარტო დ. შვირილაში ორისული მაინც არ მოკვდესო. „ძარჯსაონდენტი დიდ სამღურავს აცხადებს იქაურს უეზღის დოქტორზე, რომელსაც მართალია, ბევრი არა ესმის-რაო, მაგრამ „რაც იცის, იმითაც ვერ ვსარგებლობთო, რადგან ეს დალოცვილი თავის შრომას, ერთი ფეხის გადადგმასაც ერთობ ძვირად აფასებსო“.

„დროების“ კორექსონდენცია

საზარეჯო, 4 თებერვალს. უ. რედაქტორო, თქვენ გაგიკონიათ, ვითომც იერის დამზოველ-ამხანაგობის საქმე ამ უკანასკნელ დროს ცუდათ მიდიოდეს ვითომ გამგე კამიტეტი ფულებს ხარჯავს დაუღვერათაო.

სეთი ხმები ცილის-წამება. დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, რომ თუ თავდაპირველად კარგა მიდიოდა საქმე, ახლაც უფრო უკეთესად მიდის. არ ვიცით ამ უკანასკნელ დროს რაც ცვლილება მოხდა, რადგანაც ისევე ის პირნი არიან ზედამხედველნი და გამგე კამიტეტის წევრებად.

ხალხი გონიერია; იმან კარგა იცის—ვინ არის და რა არის იმათი სასარგებლო და უსარგებლო. ამ საქმეში ურევიათ ზოგიერთი ისეთი პირნი, რომლებიც თავის განწირულებით შებმათ ამ პირველ სამაგალითო საქმეს, რომ იხრევენ თავის შეწირვას ვიდრე ამ საქმის ჩაშლას.

აქამდის ვითმინე მინდოდა ანგარიშის შემდეგ პასუხიც მიმეცა და ანგარიშიც წარმომედგინა; მაგრამ ამ წმინდა საქმის შეურაცხყოფას ვერვის მოუწონებ და ამიტომ, რადგან ანგარიში თითქმის ერთი თვეა შემდგარია გამგე კამიტეტისაგან და ზედამხედველი კამიტეტი აგვიანებს ყრილობის მოწვევას, ამიტომ მოკლე ანგარიშს იერის დამზოველ-ამხანაგობისას აქვე მოვიყვან.

დახლიდარს ჯამაგირათ აქეს 600 მანეთი, რომელსაც ჩვენი დეპოს ორივე განყოფილება აბარია და სცხოვრობს თავის ხარჯით; ერთ დახლიდარს აქამდინ ჯამაგირად ჰქონდა ხუთი თუმანი, ხოლო ორს აქამდინ ჯერ არაფერი ჰქონია, თუმცა ახლა ვფიქრობთ, წელიწადია გვექსახურებან, თავიანთ ხარჯით, საჩუქარი რამე მიეცეთ და იანვრიდან დაუნიშნოთ ჯამაგირები.

მკითხველი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ, თუ ამ საზოგადოებას ყოველივე საგანი ექნება, ცხოვრებაში საჭირო და ყველა ესენი პირ-და-პირ მწარმოებლებიდან იქნება მოტანილი, ყოველ წელიწადს იქნება ვაჭრობა ხუთი ათასი თუმანი. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ხალხი ისე თანაუგრძნობს ამ საქმეს, რომ ხშირად საზოგადო სადილების დროს მომგონის საღვებდელიებს სმენ.

ანგარიში იერის დამზოველ-ამხანაგობისა 1-ს იანვრიდან 1878 წ. 1-ს იანვრიდან 1879 წლისა.

შემოსავალი:	მან.	კაპ.
წილის ფული 80 ამხანაგისა	—	1,918
მოსაწყობი	—	240
ნასესხი მთელი. საზ. ბანკი.	—	1,960
ნასესხი კერძო-პირებიდან	—	600
ბაყიდულ საქონელი ფარჩეულობის განყოფილების	—	8,427 94
ბაყიდვა საქონელი საწვრილმანო განყოფილებისა	—	8,839
ნასესხი, (ნისია) ქალაქის ვაჭ.	786 68 1/4	
<b>ჯამი</b>	<b>—</b>	<b>22,771 62 1/4</b>

ბასავალი:	მან.	კაპ.
ნავაჭრი საწვრიმლო განყოფ.	9,813	42
ნავაჭრი ფარჩეულ. განყოფ.	9,724	79
ძონება	—	369 50
ბადაბლილი ნასესხი მთელი. თავ.-აზნ. ბანკ.	—	660
დავთრები, ბლანკები, პატენტისა და სარგებლები ნასესხების	469	53
შრპის ქირები და დახლიდრების ჯამაგ.	—	774 4
ძასსაში არის	—	960 28 1/4
<b>ჯამი</b>	<b>—</b>	<b>22,771 62 1/4</b>


ბამოკვლევითი ანგარიში:

იყო თანხათ. 1-ს იანვარს.	მან.	კაპ.
წილის ფული 80 ამხანაგისა	—	1,918
მოსაწყობი	—	240
ნასესხი მთელი. თავ.-აზნაურობის ბანკი.	—	1,320
ნასესხი კერძო-პირებიდან	—	600
ნასესხი (ნისია) ქალაქის ვაჭრებიდან	—	786 68 1/4
<b>ჯამი</b>	<b>—</b>	<b>4,864 68 1/4</b>

არის ნამდვილად 1-ს იანვარს.	მან.	კაპ.
საქონელი იყო საწვრიმლო განყოფილებაში	—	1,421
საქონელი იყო ფარჩეულობის განყოფილებაში	—	1,805
ნისიათ არის გაცემული	—	942 46
1-ს იანვრიდან რევიზიამდინ შემოვიდა ფარჩის	—	105 44
1-ს იანვრიდან რევიზიამდინ შემოვიდა საწვრიმლოის	—	266 40
ძასსაში იყო	—	960 28 1/4
მონიკაშვილზედ არის	—	204 10
ძონება არის	—	369 56
ძონება (წვრიმალი)	—	130
ხარჯები	—	1,243 57
<b>ჯამი</b>	<b>—</b>	<b>7,447 81 1/4</b>

საზოგადო მოგება	—	2,583 13
ხარჯები	—	1,243 57
ხალასი მოგება	—	1,339 56

იერის დამზოველ ამხანაგობის გამგე კამიტეტის საქმის მაწარმოებელი ა. სხედაძე



# უცხო ქვეყნები

## საზრანგეთი

ბელგიურს გაზეთს „ბელგიის თავისუფლებათა“ დაბეჭდილია პარიჟიდან მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი სხვათა შორის იწერება:

„ბევრი ლაპარაკი არის ამ ქვეყნის ნაციონალურ ძრების დეპუტატებსა და სენატორებს შორის ამინსტიის თაობაზე. მაგრამ ამაზე უფრო იტყვება პარაკობენ აგრეთვე ნაციონალური ძრებისა და სენატის შერსალიდამ პარიჟში დაბრუნებაზე.“

„ამინსტიის შესახებ თვითონ მთავრობა (სამინისტრო) შეიტანს პალატაში წინადადებას და, რაღა თქმა უნდა, რომ პალატა ამის წინააღმდეგ არაფერს არ იტყვის. რაიცა შეეხება ნაციონალური ძრებისა და სენატის პარიჟში გადმოტანას, ამაზე წინადადებას კი ძრების რადიკალურ პარტიისაგან მოვლიან. ამბობენ, რომ ახალი პრეზიდენტი რესპუბლიკისა ბრევი წინააღმდეგი არის ამისა; მაგრამ ეს ძნელად დასაჯერებელია. ჰქუანდ ახლოს არის მხოლოდ ის, რომ ბოევის, როგორც წინდახედულ და დინჯ კაცს, ყველაფრის ერთად გაკეთების ეშინიან, ცოტ-ცოტათი უნდა შეასრულოს ყველა კანონიერი მოთხოვნილება რესპუბლიკურ პარტიისა და საზოგადოებისა.“

— პარიჟის გაზეთებში იწერებიან, რომ გასულ იანვრის 28-ს საფრანგეთის რესპუბლიკის ახალ პრეზიდენტს ბრევის გამოცხადებია უცხო ქვეყნის ყველა ელჩები და ბრევის უთქვამს ამათვის მოკლე სიტყვა, რომელშიაც ის ჰაზრი გამოუხატავს, რომ საფრანგეთს მშვიდობიანობა ჰსურსო და ეცდება, რომ ყველა სახელმწიფოებთან კეთილი განწყობილება ჰქონდესო.

## ბოლგარია

ამ თებერვლის 22-ს შეიკრებებიან ბოლგარიის ძველს სატახტო ქალაქს ტირნოვოში ხალხის წარმომადგენელი დეპუტატები, რომელთაც ბოლგარიის მთავარი უნდა ამოარჩიონ და ამასთანავე დაადგინოს ამ ახალი სახელმწიფოსთვის ახალი კონსტიტუცია, ახალი სახელმწიფო წესდება და კანონები, რომელსაც როგორც ხალხი, აგრეთვე თვით მთავარიც უნდა ემორჩილებოდეს.

## წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთში № 12 „დროებაში“ წივიკითხეთ ერთი მოკლე შენიშვნა, რომლის შინაარსმა ძრიელ დიდი ნუგეში და მხნეობა დაბადა ჩვენს გულში. ამ შენიშვნის შინაარსი ეხება იმას, რომ ქართველმა სტუდენტებმა უნივერსიტეტისამ ანუ სხვა რომელიმე უმაღლეს სასწავლებლისამ, როგორც რუსეთში, ეგრეთვე საზღვარ გარეთ,

შეატყობინონ ყოველივე თავის გარემოება იმ საზოგადოებას, სადაც იმათ უმაღლესს კურსს შესრულების შემდეგ უნდა იმოქმედონ; რომელი ქალაქის უნივერსიტეტში, ანუ სხვა უმაღლეს სასწავლებელში, რამდენი არიან, რომელ განყოფილებაზე და რა საგნებს გადიან.

მე არ შემიძლია რაიმე მოგახსენოთ უნივერსიტეტების ანუ სხვა უმაღლეს სასწავლებლების ქართულ სტუდენტებზე, რადგანც იმათ მდგომარეობაზე არა ვიცო-რა. მხოლოდ შემიძლია მოგახსენოთ ნამდვილი და ჭეშმარიტი მდგომარეობა ქართველ-სტუდენტებისა ამ ჩვენს აკადემიაში.

ქართველი სტუდენტები მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ვართ ექვსი კაცი: თეოდორე შორდანი ია მეოთხე კურსში კანდიდატი ისტორიისა; მეორე კურსში: იოსებ სანებლიძე ლიტერატურულ განყოფილებაზე, ლაზარე იაკობოვი საღმრთო მეტყველების განყოფილებაზე; პირველ კურსში: მ. დიმიტრი ჯანაშვილი საღმრთო მეტყველების განყოფილებაზე, მასილ ბარნოვი ისტორიის განყოფილებაზე და მე-ძრისტეფორე შირელიძე ლიტერატურულ განყოფილებაზე.

საგნები, რომლებსაც აქ სწავლობენ ქართველი სტუდენტები და ეგრეთვე რუსები-სტუდენტები არიან შემდეგი: საღმრთო მეტყველების განყოფილებაზე: ფილოსოფია, პსიხოლოგია, პედალოგია და სხვა და სხვა საღმრთო მეტყველების საგნები; ისტორიულ განყოფილებაზე: ფილოსოფია, პსიხოლოგია, ისტორია როგორც საზოქალაქო ეგრეთვე საეკლესიო, პედალოგია; ლიტერატურულ განყოფილებაზე: ფილოსოფია, პსიხოლოგია, ლიტერატურა როგორც რუსეთისა, ეგრეთვე სასაველეთის მეროპის ხალხებისა, პედალოგია, ლოლიკა და ზოგიერთი საღმრთო მეტყველების საგნები. მნებს ასწავლიან როგორც ძველებს (კლასიკურს), ეგრეთვე ახლებს. მანსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ ჩვენს აკადემიაში თხზულებაზე; პირველ და მეორე კურსზე აწერინებენ სამს თხზულებას წლის განმავლობაში, მესამე კურსზე კი ერთს, რომელსაც ეძახიან კანდიდატურს; მეოთხე კურსზე თხზულებას არ აწერინებენ; ამ კურსზე სტუდენტები ვალდებული არიან, რომ ამოირჩიონ რომელიმე საგნები და შეისწავლონ სპეციალურად.

მხლა მოგახსენებთ რამდენიმე სიტყვას მატერიალულ მდგომარეობაზე ჩვენი სტუდენტებისა. ხუთი (5) ამ ჩვენ სტუდენტებთაგანი მიღებული არიან სახელმწიფო სტიპენდიებზე. მხოლოდ ერთი არის უსტიპენდიოთ. მისი არაფერ მატერიალულ შეწყობაში არ საჭიროებენ, რადგანაც იმათ აძლევენ საჭმელ-სასმელს, ტანისამოსს და ჩაის ფულსაც 3 მანეთს თვეში. მართა ერთი ქართველ სტუდენტთაგანი არის თავის ხარჯზე და მოგახ-

სენებ სიმარლეს, უ. რედაქტორო, ბევრი გაჭირება გამოიარა ამ სასწავლებლის უქონელიდან გამომდინარე.

ამ ღარიბ მოსწავლეს ამას წინათ მუთაისის ბანკიდგან გამოუგზავნეს 60 მანეთი იმ ფულებიდგან, რომელიც აღნიშნულმა ბანკმა გადასდვა შესაწევნელად ღარიბის სტუდენტებისთვის და ერთი თუმანიც იძერეთის ეპისკოპოსმა მამრიელმა. ღლეს კი ეს ყმაწვილი ისევ უკიდურეს მდგომარეობაშია, იმის დლიური ცხოვრება მიდის იმ კაპიკებით, რომლებსაც უყოფენ ქართველი სტუდენტები თავის ჩაის ფულებიდგან. ამისთვის არ იქნება ცუდი, თუ ჩვენი კეთილის მყოფელი საზოგადოება მიაქცევს ყურადღებას თავის მამულის შეილს და რაიმე შემწეობას მისცემს.

მოსკოვის სასულიერო აკადემიის  
ძირთველი სტუდენტი.

# განცხადება

აღრინდელი რესტორანი „თფილი სი“ და ახლა „მომლიდა“, რომელიც იმყოფება დვორცოვის ქუჩაზე, სარაჯევის სახლებში, შესავალი ეზოდამ, მეორე კიბე, უცხადებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ რესტორანში იმყოფება ყოველგვარი საჭმელები კარგი პროვიზიისა და აგრეთვე შეიძლება მუდამ თვეობით გაეგზავნოს მსურველს შინ კარტოჩკით ან აქვე სჭამოს უფრო იაფად, ვინემ სხვა სასტუმროებში.

ამავე რესტორანში მზადდება ახლად ბლინები და ლიდმარხეაში მოამზადებენ სამარხო საჭმელებს. 9 საათიდან დღისა არის ცხელი პიროჟკები.

იქედი მაქვს პატივცემული საზოგადოება კმაყოფილი დარჩება.

(1—1)

## რუსის ჩაის ვაჭრობისაგან

ახლად მიღებულია საუკეთესო **ჭუ-ჩუანის ჩაი** 10,000 გირვანქა.

შასი გირვანქა ჩაისა 1 მან. და 20 კაპეკადამ 8 მანეთამდინ. მე მივიღე ჩემი მუშტრებისაგან ჭუჩუანის ჩაისთვის ბევრი მაღლობა წერილით. იმედი მაქვს, რომ მომავალი ჩემი მუშტრები კიდევ უფრო კმაყოფილი დარჩებიან.

შეიძლება გირვანქობით ყიდვა და ნარდათაც. მაღაზია კისრულობს თავის ხარჯით გაგზავნოს ფოჩითა.

აღრასნი მაღაზიისა: მიხაილოვის ხიდი, მარზოვის სახლი, „პავკაზის“ რედაქციის ქვემოთ.

ვაჭარი ა. პოლოსუსინი.

(5—5)